ჩვენი იმედის თავდები

თბილისი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 28 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი) – „გრასჰოპერსი" (ციურიხი) 1:0 (1:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩივაძე), გუცაევი, შენგელია, ჩელებაძე (წერეთელი).

„გრასჰოპერსი": ბერბიგი, ბეკეტი, ნილი, მონტანდონი, ჰეი, ბაუერი, მაიერი, ვერლი, სულზერი, პონტე, ელზენერი.

გოლი: შენგელია

მსაჯი: რ. ნიჰუსი (ნორვეგია).

გაფრთხილებული არიან ნილი და გუცაევი.

ისეთი არაფერი მომხდარა. მატჩი დასრულდა, თბილისელთა გამარჯვება ოფიციალურად აღნუსხა ოქმმა, საბოლოო პასუხისათვის კი ორი კვირის ლოდინიღაა საჭირო.

არადა მაყურებელთა რეაქციით ისე ჩანდა, თითქოს „დინამომ" ეს–ესაა გამოუსწორებელი ცოდვა ჩაიდინა – უეფას თასის გათამაშების მეოთხედ ფინალში გასვლის ყველა იმედი გადაუწურა გულშემატკივრებსაც და თავის თავსაც.

საგანგაშო მართლაც არაფერი მომხდარა. ბოლოსდაბოლოს ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს მატჩი და ამ ტურნირისთვის არცთუ ურიგო ანგარიშით (ჩვენი მეტოქის მიერ დაჯაბნილი ბრატისლავის ინტერის მაგალითი (1:0, 1:5) შეიძლება დამაფიქრებელი იყოს, მაგრამ ბევრს ვერაფერს ნიშნავს – ასეთი ანგარიშით "დინამო" წლეულს არ დამარცხებულა და დარწმუნებული ვარ არც დამარცხდება). თუმცა, თავი დავანებოთ პროგნოზებს და ვისაუბროთ უშუალოდ მატჩზე, რომელიც, ეჭვი არ არის, განსჯა–ანალიზის თუ სახვალიო ვარაუდისთვის ბევრად მეტ მასალას იძლევა. ერთმა გარემოებამ მთელი ორთაბრძოლა თავისი ხასიათითაც, სანახაობრივი თვალსაზრისითაც ორ, ერთიმეორისგან სავსებით განსხვავებულ ნაწილად გაჰყო. გარემოებებზე შემდეგ. ერთ შეხვედრაში ამ ორ „მატჩს" კი 35–ე წუთმა დაუდო ზღვარი.

პირველი მონაკვეთი – „დინამოს" განუწყვეტელი იერიშები, უამრავი საგოლე სიტუაცია, შენგელიას გოლი მეოცე წუთზე. ამის შემდეგ კი როგორც გუნდისათვის ისე მაყურებლისათვის უჩვეულო თხუთმეტწუთიანი, ყბადაღებული ტოტალური ფეხბურთის ელემენტებით სავსე შტურმი. ამ წუთებში ერთთავად ბეწვზე ჰკიდია „გრასჰოპერსის" კარის უსაფრთხოება, უამრავი შეცდომა მოსდით მცველებს.

დროის მეორე მონაკვეთი, მართალია, ისევ ნერვიული და დაძაბული, მაგრამ მაინც დაახლოებით თანაბარი ბრძოლით აღინიშნა (ტერიტორიული უპირატესობა, რა თქმა უნდა, სათვალავში ჩასაგდები არის).

ერთიანი შთაბეჭდილებით ანგარიშმა ასე თუ ისე სწორად ასახავდა ძალთა თანაფარდობა, მაგრამ „დინამოს" ალბათ მაინც შეეძლო თავისი აქტივისთვის კიდევ ერთი ბურთის მიმატება. ეს „ალბათ" არ მოხდა და, მხოლოდ და მხოლოდ 1:0–საც ვფიქრობ, ორი მიზეზის გამო დავჯერდით.

რამდენადმე სერიოზული პრეტენზიების მქონე ნებისმიერ გუნდს აუცილებლად ჰყავს (ან უნდა ჰყავდეს) ერთი ან ორი ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ხელეწიფება კოლექტივის გამიზნული მოქმედებისთვის დარაზმვა, უშუალო ხელმძღვანელობა და თუ ვითარება მოითხოვს, გუნდის სათამაშო ტაქტიკის შეცვლაც. დღეს თბილისელთა რიგებში ორი ასეთი ფეხბურთელი გვეგულება – მანუჩარ მაჩაიძე და დავით ყიფიანი. წმინდა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებასთან ერთად ამ მიჯნას უნდა მიუახლოვდეს ალექსანდრე ჩივაძეც. უფრო შორეული ვარაუდით, მაგრამ ასეთივე მონაცემები უნდა აღმოაჩნდეს ვიტალი დარასელიასაც. ჩვენი აზრით, რანგი მიხედვით ასე გამოიყურება „დინამოს" სადირიჟორო სკამი.

შვეიცარიელებთან შეხვედრაში ტრავმის გამო არ მონაწილეობდნენ ყიფიანი და დარასელია. როგორც ჩემპიონატის და უეფას თასის გათამაშების სხვა მატჩებში ორგანიზატორის მოვალეობა ისევ, და თანაც უპარტნიოროდ დარჩენილ მანუჩარ მაჩაიძეს დააწვა.

ამ მხრივ პირველ ტაიმში დინამოელთა კაპიტანს სერიოზული პრობლემები არ გასჩენია – თბილისელები შუა მინდვრის სრული ბატონ–პატრონები იყვნენ. შესვენების შემდეგ „გრასჰოპერსმა" ძველისძველი და მარტივი, მაგრამ საიმედო მეთოდით გადაჭრა ეს ამოცანა – თავისი ერთერთი ნახევარმცველი მთავარ ფიგურაზე „გაცვალა". უკვე თამაშის დამთავრების შემდეგ მწვრთნელი იოჰანსენი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ვერლისაც (N18) დაასახელებს. ვერაფერს იტყვი – შემოქმედი

ფეხბურთელისთვის მართალია უმადურ, მაგრამ გუნდისთვის საჭირო საქმეს ვერლიმ ავად თუ კარგად მაინც გაართვა თავი. მეორე ტაიმში შვეიცარიელთა რვიანი ერთი წამითაც არ მოსცილებია მანუჩარს. ეს ყველაფერი უთუოდ გაითვალისწინა თბილისელთა მწვრთნელმაც – შესვენების შემდეგ ჩივაძის თამაშში ჩართვა იყო ამის მაუწყებელი. სამწუხაროდ ამან ნაყოფი ვერ გამოიღო და „დინამოს“ მოუმზადებელი, მოუწესრიგებელი იერიშები სასიკეთოთი ვერაფრით დამთავრდა. მოკლედ, 23 ნოემბერს დინამოელთა შორის არ იყო მანუჩარ მაჩაიძის ტოლფასი თუ არა ორგანიზატორის ფუნქციების ნაწილობრივად მაინც შემსრულებელი ფეხბურთელი და მხოლოდ მინიმალური გამარჯვების თავი და თავი მიზეზიც ეს უნდა იყოს.

მეორე მიზეზად, მცირე შეცდომაც რომ შეიძლება ვუწოდოთ, ის, აგრერიგად საამოდ საცქერი თხუთმეტწუთიანი შტურმი იქცა. ასეთი განცხადება იქნებ პარადოქსულადაც ჟღერდეს (რომელი ჭკუათმყოფელი იქადაგებს, შეტევა შეცდომაა) მაგრამ...

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ დღეს „დინამო“ შორს არის თავისი საუკეთესო ფორმისგან, რომ გუნდი ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადაც მართლაც დაქანცა მეტოქეებთან, მსაჯებთან, წლევანდელ ჩემპიონატში გამეფებულ „ყაიმობასთან“ ბრძოლამ, რომ ერთობ იმრავლა ტრავმებმა (ასეთ ვითარებაში გასაგებმა და ბუნებრივმა). ეს ყველაზე უკეთ თვითონ ფეხბურთელებმა იციან. და აი გუნდი გუნდი პირველი წარმატებების შემდეგ ერთბაშად ცდილობს ყველა პრობლემის გადაჭრას – სულ რაღაც 15 წუთში ხელაღებით იხარჯება მთელ მატჩზე გასანაწილებელი ძალის მარაგი, თანაც ისე, რომ საამისო კომპენსაციას ვერ ღებულობს. „დინამომ“ გარისკა და მეორე ტაიმის უფერულ თამაშში ამ გაუმართლებელი რისკის წილიც იდო (სხვათა შორის, როცა მატჩის ორად გაგლეჯაზე დავიწყეთ საუბარი, სწორედ ამ ვითარებას ვგულისხმობდით).

რა თქმა უნდა, ეს საყვედური არ არის. ან როგორ უნდა უსაყვედურო სპორტსმენს თავდადება, ძალის დაუზოგავად ხარჯვა. სწორედ რომ პირიქით, მაგრამ საქმე გვაქვს მეტოქესთან, ყველანაირი საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ილეთით რომ ცდილობს თავის გატანას, როცა საქმე გვაქვს უამრავი სტრატეგიული მახეებით მოფენილ ტურნირთან, შენც ან ისეთივე ქუდი უნდა დაიხურო, ანდა ზომიერად უნდა ფრთხილობდე, მით უმეტეს, ახლა (სულ რაღაც ორი თვის წინ მსგავს შეგონებაზე საუბარი უხერხულიც იქნებოდა), როცა გუნდის საბრძოლო განწყობილების შენარჩუნება სულიერი ძალების მაქსიმალური დაძაბვითღა ხერხდება.

მაშ ასე, დარჩა ერთადერთი მატჩი. უთუოდ მართებული არ იქნებოდა, რომ ჩვენი გუნდის წარმატება–წარუმატებლობა ამ უკანასკნელი ორთაბრძოლით გაგვეზომა. და მაინც მას შეუძლია დაამშვენოს ან გაამუქოს წლევანდელი „დინამოს“ სახე.

რას შეიძლება მოველოდეთ საპასუხო შეხვედრისგან?

„გრასჰოპერსის“ დაცვამ თბილისში მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა (პირველ ტაიმს ვგულისხმობ), თუმცა ეს უფრო ნახევარსაათიანი შტურმის გამო მოხდა, რისი საშუალებაც სტუმრად, ბუნებრივია, არ გვექნება. მასპინძელთა თავდასხმაც (ელზენერი და სულზერი პონტესა და ვერლეს შეწევნით) უთუოდ მეტ ფხას გამოიჩენს შინ, ციურიხში ბოლო მატჩებში, რომლებიც „გრასჰოპერსისათვის“ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს, გუნდი უცვლელი შემადგენლობით თამაშობს. ამდენად, სავარაუდო არ არის ახალი გვარების გამოჩენა. თუმცა ამის გარეშეც საფიქრებელია, რომ თბილისელთა დაცვას დიდი ჯაფა დაადგება. ქართველ ფეხბურთელთა კოზირი უკვე მოპოვებული გამარჯვება ხელუხლებელი კარია, ყიფიანის (იქნებ დარასელიასიც) სახითაც გუნდს ერთობ სერიოზული ძალა შეემატება. ამით ზემოთ ნახსენები მიზეზიც თავისთავად მოიხსნება დღის წესრიგიდან. რჩება ერთადერთი დაღლილობა. სწორედ ამიტომ სათუო ჩანდა არც თუ სასხვათაშორისო ტურნე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ესპანეთში. ალბათ სწორად მოიქცა გუნდის ხელმძღვანელობა, როცა დროებით შეცვალა მარშრუტი – დინამოელები ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრნენ. ერთი კი არის, რაღაც სიკეთე თან სდევს ამ მატჩებს – ოდნავმა მოდუნებამაც კი შეიძლება გამოუსწორებლად დააქვეითოს ფეხბურთელთა ტონუსი.

რა თქმა უნდა, ყველა „ჰოსა“ და „არას“ წინასწარი განსაზღვრა, ყველაფრის აწონ–დაწონა შეუძლებელია. ესეც არ იყოს, საფეხბურთო პროგნოზები სახიფათო, უმადური საქმეა და...

და მაინც, ამ სტრიქონების ავტორსაც, ჩვენი გუნდის ბევრზე ბევრ გულშემატკივარსაც სჯერა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. საამისო იმედის თავდები წლევანდელი თბილისის „დინამოა“

ი. ბერიაშვილი

“ლელო” 26 ნოემბერი 1977.